რეკომენდაციები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისათვის

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის ხედვა

საქართველოს მთავრობისათვის განსახილველად

პროექტის ინიციატორები და მხარდამჭერები:

ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო"
ჰაინრიხ ბიოლის ფონდი
ფონდი "ევრაზია"

თბილისი, საქართველო
24 აგვისტო, 2005

1. შესავალი

2004 წლის ივნისში საქართველო სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყანა გახდა. 2005 წლის 2 მარტს ევროპის კომისიამ საქართველოს, როგორც სამეზობლო პოლიტიკის თანამონაწილე ქვეყნის, შესახებ მოხსენება მოამზადა. ეს მოხსენება ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების შესახებ ევროკავშირის ხედვას წარმოადგენს.

დღეისათვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს "პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება" წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც საქართველოს ხელისუფლება ცდილობს გააღრმავოს პოლიტიკური დიალოგი, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირთან, მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასთან და განახორციელოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური რეფორმები. აღნიშნული ამოცანების შესრულება საქართველოს მიერ აღიარებულ პრინციპებთან და ეროვნულ ინტერესებთან სრულ თანხმობაშია.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს ევროკავშირთან დეკლარირებული საერთო ღირებულებები აახლოებს, კვლავაც პრობლემატურია ამ ღირებულებებისადმი სახელმწიფო ინსტიტუტების ერთგულება, ისევე როგორც დემოკრატიის ძირითადი პრინციპების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრება. მომავალში საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, განვითარების სისწრაფე და ამ პროცესში დასავლეთის დემოკრატიების თანადგომა საერთო ევროპული ღირებულებების დამკვიდრების ეფექტურობაზე იქნება დამოკიდებული. შესაბამისად, ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობების ინტენსივობა უახლოეს მომავალში განისაზღვრება იმით, თუ რამდენად წარმატებულად იქნება ქვეყანაში დაცული დემოკრატიისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპები, ადამიანის უფლებები და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. ამასთან ერთად, აღნიშნული საქმიანობების განსახორციელებლად საქართველოს შეუძლია გაზარდოს ევროპასთან თანამშრომლობის მასშტაბები და გამოიყენოს ახალი შესაძლებლობები სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში - საქართველოს სამოქმედო გეგმა შეიძლება გახდეს საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობის ახალი ინსტრუმენტი.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ხელშესაწყობად არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფმა (სია იხილეთ **დანართი 1-ში**) "ღია საზოგადოება – საქართველოს", ევრაზიის ფონდისა და ბიოლის ფონდის ხელშეწყობით მოამზადა წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მთავრობისადმი აღნიშნული ჯგუფის შეთავაზებას სამოქმედო გეგმის შესაძლო აქციების შესახებ. ცხადია, რომ დოკუმენტი არ შეეხება ქვეყნის განვითარების ყველა მცირე თუ მნიშვნელოვან საკითხს. ავტორთა კონკრეტული მიზანი იყო საქართველოს მთავრობასა და ევროპის თანამეგობრობას შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისათვის შესაბამისი სფეროების, საკითხებისა და აქციების შერჩევა და საქართველოს მთავრობისთვის შეთავაზება. ავტორები ელიან, რომ საქართველოს მთავრობა სათანადო ყურადღებას მიაქცევს წინამდებარე დოკუმენტს და მასში წარმოდგენილ საკითხებსა და საქმიანობებს არსებითად, რეალურად გაითვალისწინებს ევროკავშირისათვის წარსადგენი სამოქმედო გეგმის პროექტში. ავტორები მზად არიან, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავებას მის ყველა ეტაპზე შეუწყონ ხელი და საკუთარი ხედვისა და შეხედულებების გათვალისწინებით ინტენსიურად ითანამშრომლონ საქართველოს მთავრობასთან და ევროკავშირთან.

2. დოკუმენტის თემატიკა და სტრუქტურა

საქართველოს სამოქმედო გეგმის არასამთავრობო ვერსიაზე მუშაობის პროცესში გამოიყო 26 პრიორიტეტული მიზანი, რომელთა მიღწევაც უახლოეს მომავალში საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება. თითოეული მიზნის მისაღწევად შემუშავდა განსახორციელებელი ქმედებისა და მოსალოდნელი შედეგების ნუსხა. დოკუმენტის დასრულებისათვის სასურველია, განისაზღვროს მათი შესრულების დროითი, ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები.

პრიორიტეტული მიზნების ჩამონათვალი დაჯგუფებულია 9 თემატური საკითხის გარშემო. შესაბამისად, ნაშრომი ფორმალურად შეიძლება 9 თავად დაიყოს.

სამოქმედო გეგმის **I თავი** ეთმობა საქართველოში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას. აღნიშნულ თავში აღწერილი საკითხები მიმართულია იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც საქართველოში დემოკრატიული მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემის, ასევე სასამართლო სისტემის ფარგლებში არსებობს.

მაგალითად, როგორც ცნობილია საქართველოს მართვა-გამგეობის ფორმა და ხელისუფლების მოწყობა მნიშვნელოვნად შეიცვალა ვარდების რევოლუციის შემდეგ. 2004 წლის 13 თებერვალს საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად დაირღვა დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმის ფუძემდებლური პრინციპი - ხელისუფლების ჰორიზონტალური დანაწილების ანუ ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და შეწონასწორებულობის პრინციპი, რის შედეგადაც მივიღეთ დაუბალანსებელი და პოლიტიკური კრიზისებისთვის განწირული სამართლებრივი სახელისუფლო სტრუქტურა. უცხოელი და ქართველი ექსპერტების აზრით, არსებული სისტემის ცვლილება აღმასრულებელი შტოს სასარგებლოდ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას, ძალაუფლების დეცენტრალიზაციასა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას. არსებულ საკონსტიტუციო სისტემაში პრაქტიკულად შეუძლებელია საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების აღმასრულებელი შტოსაგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, დოკუმენტში აღწერილი ინიციატივები მიმართულია სახელისუფლო ბალანსის აღდგენისა და სხვა არსებული პრობლემების დაძლევისაკენ.

ამასთან ერთად, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და თვითმართველობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩება. შესაბამისად, ქვეყანაში სრული ქაოსია ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის მხრივ. მიუხედავად ხელისუფლების მიერ გამოხატული და დეკლარირებული ინტერესისა, რეალურად ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა საქართველოში ტერიტორიული მოწყობის ერთიანი კონცეფციის მომზადება. სანაცვლოდ პარლამენტში ეპიზოდური და პოლიტიკური მიზანშეწონილობით გამართლებული ინიციატივები მტკიცდება.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხების გარშემო არსებულ პრობლემათა მოსაგვარებლად დოკუმენტის **I-II თავების** ფარგლებში წარმოდგენილია რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ძირითადად საკანონმდებლო და სასამართლო რეფორმის დაჩქარების საჭიროებას ეფუძნება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემებია დასაძლევი. ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, პრიორიტეტულია ევროპულ საკანონმდებლო სივრცესთან საქართველოს კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაცია. მაგალითად, კონსტიტუციაში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში რჩება სრულიად მიუღებელი მუხლები წამებასთან დაკავშირებით, ხოლო

ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან ხშირია ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის ღიად დარღვევის ფაქტები. საქართველოში დღემდე პრობლემებად რჩება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა, პატიმართა და ჯარისკაცთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული მედიის თავისუფლების საკითხი, რის პასუხადაც ხელისუფლებამ, სასურველია, განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და მედიის დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს და დაამკვიდრებს პოლიტიკურ პლურალიზმს.

III თავში განხილული სამოქმედო გეგმის ჩამონათვალი ემსახურება იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც საქართველოს მმართველობით სისტემაში არსებობს. დღეისათვის საქართველოში არსებული მმართველობის სისტემა კვლავ ნაკლებმოტივირებულ, ნაკლებპროფესიონალ და ნაკლებ ანგარიშვალდებულ ადმინისტრაციას წარმოადგენს, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც გადაწყვეტილების მიღების, ასევე საზოგადოების მომსახურეობის ხარისხზე. ეს კი, თავის მხრივ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული კორუფციისათვის.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მთავრობას ეძლევა საშუალება განახორციელოს სახელმწიფოს ინსტიტუციონალური რეფორმა, საჯარო სამსახურის რეფორმა, მიიღოს ზომები კორუფციის პრევენციის მიმართულებით და დაამკვიდროს გამჭვირვალე მმართველობის სისტემა, რაც გააუმჯობესებს მმართველობის ეფექტურობას და უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსტიტუტების სტაბილურობას.

გაყინული კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში ხელისუფლება აშკარად განიცდის სტრატეგიის არარსებობას, რაც უპირველეს ყოვლისა ვლინდება მის უმოქმედობაში. **IV თავში** აღწერილია ის აქციები, რომლებიც ხელს შეუწყობს გაყინული კონფლიქტის მდგომარეობის თვისობრივ ცვლილებას. ახალი მიდგომებისა და მეთოდების დამკვიდრებით საქართველოს ხელისუფლება შეძლებს ხელი შეუწყოს კონფლიქტში მყოფ საზოგადოებებს შორის ნდობის მშენებლობასა და დიალოგის წარმართვას, რომელიც სასურველია, რომ ყველა მხარის მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით წარიმართოს.

სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის თემა განხილულია **V თავში**. უნდა აღინიშნოს, რომ თავად რეგიონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე ბევრი ექსპერტისათვის დღესაც გადაუწყვეტელია საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება სამხრეთ კავკასიის ცნება რეგიონს. დაპირისპირებული ეროვნული ინტერესების გამო არ არსებობს ინიციატივა, რომელიც ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკური კუთხით სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ინტეგრაციის ნიშანს ატარებს. არც ორმხრივ თანამშრომლობას მიუღწევია მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობა ენერგომატარებლებისა და ტვირთების ტრანსპორტირების სფეროში, თუმცა მაინც ბევრია გამოუყენებელი რეზერვები. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა იმყოფება სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, რაც აფერხებს ქვეყნებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივა მცირეა და კვლავ გარეშე მედიატორების ხელშეწყობაზე მიბმული რჩება. ევროპას სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა რამდენიმე მიმართულებით

შეუძლია, კერძოდ, შესაძლებელია რეგიონული თანამშრომლობის წახალისება უფრო ვრცელი რეგიონული პროექტების ინიციირებით, მაგალითად, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა როგორც ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში, ეკოლოგიური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, ისე საზღვრის დაცვისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში.

VI თავი ეთმობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების თემას. უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში მიღწეული ზოგიერთი დადებითი ტენდენციის ფონზე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ჯერ კიდევ არადამაჯერებლად გამოიყურება, რაც ძირითადად არაჯანსაღი ბიზნეს გარემოს არსებობითაა განპირობებული. განხორციელებული ღონისძიებები ფაქტიურად ბოლო წუთში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგია და შესაბამისად მოკლებულია წინასწარ სრულყოფილ გათვლებს.

მაგალითად, დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ახალი საგადასახადო კოდექსი ვერ განთავისუფლდა წინა საგადასახადო კოდექსისთვის დამახასიათებელი ისეთი არსებითი ნაკლოვანებებისგან, როგორიცაა ორაზროვნება, ძნელად აღსაქმელობა, სახელმწიფო ინტერესების აღმატება გადამხდელის ინტერესებზე. საგადასახადო დავის მექანიზმში გაუქმდა არბიტრაჟის გამოყენება, რაც კოდექსის მიღების ეტაპზე ბიზნესმენების მხრიდან განიხილებოდა როგორც სახელმწიფოს ყველაზე სერიოზული დათმობა. არსებული საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა ვერ ასრულებს სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურების ამოცანას. საგადასახადო და საბაჟო სისტემები მოუქნელია. მოხელეებს ხშირად არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვთ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საინვესტიციო პოლიტიკის არარსებობა და არასტაბილური საკანონმდებლო გარემო სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოში დღემდე დასახვეწია ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო ბაზა.

დოკუმენტში მოცემული ქმედებების ჩამონათვალი მიზნად ისახავს ზემოთაღნიშნული და კიდევ სხვა ისეთი პრობლემების მოგვარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო ბიზნესის, საინოვაციო და ტექნოლოგიური პოლიტიკის განვითარებას, ენერგომომარაგების რეაბილიტაციასა და დეცენტრალიზაციას, სასაქონლო სტანდარტების განვითარებას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, ბიზნეს ეთიკისა და კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობას.

VII თავში ხაზგასმულია ევროპის თანამეგობრობის პრაქტიკისა და სტანდარატების გათვალისწინებით საქართველოსათვის მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის შექმნის მნიშვნელობა. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში აუცილებელი იქნება განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ბაზისი, არსებული რესურსები, საზოგადოების მოთხოვნილებები და საჭიროებები, სიღარიბის დაძლევის მექანიზმები. ამასთან ერთად, მომავალში საქართველოს ხელისუფლებისათვის აუცილებელი გახდება სივრცითი დაგეგმარების თანამედროვე სისტემის, სექტორული განვითარების გრძელვადიანი და ჰორიზონტალური დაგეგმარების ინტეგრირებული მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა.

დოკუმენტის **VIII თავი** სოციალური განვითარების პერსპექტივებს ეთმობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არ არსებობს ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა. ავტორთა აზრით კი, აუცილებელია დაუყოვნებლივ დაიწყოს მსჯელობა შრომისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ, რომ ანალიზისა და შეფასების შედეგად მოხდეს ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმის

საფუძველზე ქვეყნის პოლიტიკისა და პრაქტიკის დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან. პრობლემა ბევრია, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოციალური დაცვის ინსტიტუტების სისუსტე. დღის წესრიგში დგას ჯანდაცვაზე ბავშვთა, ქალთა, მოხუცთა, განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობის მხრიდან ხელმისაწვდომობის, ნარკომანიის გავრცელებისა და სხვა არსებითი პრობლემების მოგვარება.

სიღარიბის აღმოფხვრისა და მდგარდი განვითარების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია იმ ფუნდამენტურ პრობლემათა მოგვარება, რომლებიც ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების განვითარებას უშლის ხელს. ამ მხრივ აქტუალურია უწყვეტი განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბება, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემაში სერიოზული ხარვეზების აღმოფხვრა, ინტეგრირებული განათლების პროცესის ჩამოყალიბება, რაც გაითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობის პირთა, ქალთა და სხვა სპეციალურ საჭიროებებს (მაგალითად, ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვებისათვის კეთილისმყოფელი გარემოს შექმნა, განათლების სისტემაში ინტეგრირებისათვის უპატრონო ბავშვების სოციალურ ადაპტაცია, სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში ადამიანის უფლებების, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების და გარემოსდაცვითი სწავლების პროგრამების დანერგვა).

IX თავში განხილულია გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენციასთან დაკავშირებული საკითხები. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოში გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოს დაცვასთან სიღარიბის აღმოფხვრისა და ბიზნესის განვითარების დაკავშირება თითქმის არ ხდება. მოსახლეობის მუდმივი და უზომო ზეწოლა გარემოზე იწვევს ეკოსისტემების დეგრადაციას, რაც საბოლოოდ თავად მოსახლეობას აზარალებს. უკეთეს შემთხვევებში სახელმწიფო ცდილობს შედეგების ნაწილობრივ ლიკვიდირება-შემსუბუქებას, მაგრამ პრობლემების გამომწვევი ძირითადი ფაქტორების აღმოუფხვრელობის გამო ეს მცდელობები უმეტესად არაეფექტურია.

საქართველო მაღალი ბუნებრივი კატასტროფების რისკის ქვეშ მყოფი ქვეყანაა, რაც ვლინდება მიწისძვრებში, მეწყერებში, გვალვებში, წყალდიდობებსა და ზვავებში. დღეისათვის არსებული მყიფე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, სწრაფი ურბანიზაცია, ინფრასტრუქტურის არასწორი დაგეგმარება ზრდის მოწყვლადობის დონეს და ხელს უწყობს ბუნებრივი კატასტროფების დესტრუქციულ ზეგავლენას მოსახლეობაზე.

3. სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის

I. დემოკრატია და კანონის უზენაესობა

1. დემოკრატიული მმართველობის და თვითმმართველობის სისტემის განმტკიცება

1.1. ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლის და შეწონასწორების პრინციპის დამკვიდრების მიზნით საკონსტიტუციო და საკანონმდებლო რეფორმის პროექტის მომზადება;

1.2. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;

1.2.1 საქართველოს დეცენტრალიზაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება-განხორციელება:

- სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობის საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა: სუბნაციონალურ დონეთა კომპეტენციების ოდენობის, ზომისა და გეოგრაფიული საზღვრების მკაფიოდ განსაზღვრა;
- ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი დონეების ფუნქციების, კომპეტენციისა და უფლებამოსილებების განსაზღვრა და მკვეთრი გამიჯვნა ყველა სფეროში სუბსიდირების პრინციპის გათვალისწინებით;
- ყველა დონის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა დემოკრატიული წესით არჩევითობის უზრუნველყოფა;
- პრეზიდენტის რწმუნებულის / გუბერნატორის ანტი-კონსტიტუციური ინსტიტუტის გაუქმება და მმართველობის დემოკრატიული, არჩევითი სისტემის დამკვიდრება;
- ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ფინანსური დამოუკიდებლობის მინიჭება შესაბამისი სადაგასახადო გარანტიების ჩათვლით;
- სახელმწიფო/ცენტრალური და მუნიციპალური მესაკუთრეების დადგენა მიწაზე მუნიციპალური საკუთრების შექმნის ჩათვლით;
- სახელმწიფო ზედამხედველობის ლიბერალური სისტემის ჩამოყალიბება ადგილობრივ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების გათვალისწინებით და თვითმმართველობათა საქმიანობაში საზოგადოების თანამონაწილეობის პროცესების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სტრუქტურების პროფესიონალური უნარების გაძლიერება, საჯარო მოხელეთათვის რეალური მოტივაციის შექმნა.

2. კანონის უზენაესობის განმტკიცება

2.1. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროგაერთიანების სტანდარტებთან მიახლოება; დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბება:

2.2. მოსამართლეების ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობისათვის დამატებითი კონსტიტუციური გარანტიების შექმნა:

2.2.1 დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის და დისციპლინური სანქციების დახვეწა, მოსამართლეთა დისციპლინარული საბჭოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან აბსოლუტური ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის და მისი შემადგენლობის მოსამართლეებით დაკომპლექტების უზრუნველყოფა;

2.2.2 მოსამართლეთა თანამდებობრივი და გამწესების წესების ხელშეუხებლობის

განმტკიცება; ამ მხრივ კანონმდებლობის სტაბილურობის კონსტიტუციური უზრუნველყოფა;

2.2.3 სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა;

2.2.4 უფასო იურიდიული დახმარების ინსტიტუტის შექმნა, მისი უნივერსალური ხელიმისაწვდომობისა და ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

2.3. სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრაციული რეფორმის განხორციელება:

2.2.1 მოსამართლეთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების, უწყვეტი განათლების ინტენსიური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

2.2.2 სასამართლო ხელისუფლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესება.

2.4. სასამართლო გადაწყვეტილებათა სააღმსრულებლო სამსახურის ეფექტურობის ამაღლება:

2.3.1 სააღმსრულებლო სამსახურის აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ფინანსური დამოუკიდებლობის განმტკიცება, აღმსრულებელთა უსაფრთხოებისა და სოციალური გარანტიების შექმნა;

2.3.2 აღმასრულებელთა მიმართ დისციპლინარული სანქციებისა და კონტროლის გამკაცრება;

2.3.3 სახელმწიფო წილის მქონე საწარმოთა წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა უფლებრივი გათანაბრება კერძო ორგანიზაციებთან.

II ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

3. ადამიანის უფლებების დაცვა

3.1. ადამიანის უფლებების დაცვის საქართველოს კანონმდებლობის მხრივ ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია;

3.2. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გარანტიების, განსაკუთრებით ფინანსური, შექმნა, ამასთანავე მათი ინსტიტუციური და ფინანსური გაძლიერება;

3.3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტიზაციით;

3.4. დევნის ფუნქციის განხორციელებებისას სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების გადამეტებისა და თვითნებობისაგან პირის დაცვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და საკანონმდებლო წესით განტკიცება;

3.5. მოწმეების დაცვის ინსტიტუციონალიზაცია და უზრუნველყოფა;

3.6. სტალინური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებულ ადამიანთა რეპატრიაციის საკითხზე სტრატეგიის შემუშავება;

3.7. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და წარმართვა, მათი უფლებების დაცვისა და დროებით ადგილებზე ინტეგრაციის უზრუნველყოფა;

3.8. საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისა და ტოლერანტობის ხელშემწყობი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება-განხორციელება;

3.9. რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა და ჩაურევლობის ხელშემწყობი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება-განხორციელება;

3.10. პატიმართა რაოდენობის რეგულირებისა და წამების ფაქტების შეზღუდვის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პენიტენციალური სისტემის დაქვემდებარებაში არსებულ დაკავების ადგილებსა და საპატიმროებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ მონიტორინგის განხორციელების ხელშეწყობა;

3.11. წამების ფაქტების გამოვლენისა და შემცირების მიზნით, ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტიზის ფუნქციონირებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო გარემოს შექმნა და დაკავებულთათვის ხელმისაწვდომობა;

3.12. პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების საკანონმდებლო ხელშეწყობა;

3.13. პატიმართა რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

3.14. პრობაციის სამსახურის რეფორმის ხელშეწყობა;

3.15. ჯარისკაცთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა:

3.16.1 სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტის დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის გაძლიერება;

3.16.2 სამხედრო ნაწილებში ჯარისკაცთა უფლებების დაცვის მიზნით საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონიტორინგის ხელშეწყობა.

3.16. შრომის უფლებების დაცვისა და ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;

3.17. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება:

3.17.1. პოლიტიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის შესახებ ევროსაბჭოს რეკომენდაციების (2003 წლის 12 მარტი) შესრულების უზრუნველყოფა;

3.17.2. გაეროს 1325 დადგენილების ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) შესრულების უზრუნველყოფა;

3.18. ბავშვთა უფლებების შესახებ 2002 წლის გაეროს სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება - ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება; საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება ბავშვის გაშვილების საკითხთან დაკავშირებით;

3.19. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრულყოფილი ჩართულობის უზრუნველყოფა;

3.20. პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვის უზრუნველყოფა.

4. გამოხატვის თავისუფლების, მედიის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა

4.1 საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაცია, მანიფესტაციებისა და სხვა სახის შეკრებების თავისუფლების უზრუნველყოფა;

4.2 მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა:

4.2.1 მედიაზე შესაძლო ზეწოლის ფაქტების სწრაფი გამოძიების უზრუნველყოფისათვის სპეციალური სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება;

4.2.2 საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნისა და ინსტიტუციონალიზაციის გამჭვირვალობის, მისი საქმიანობის დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებით წარმართვის უზრუნველყოფა;

4.2.3 სიხშირეებზე ლიცენზიების გაცემის წესის გამარტივება;

4.2.4 კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ფინანსური და ადმინისტრაციული საქმიანობის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა.

<u>III კარგი მმართველობა</u>

5. კარგი მმართველობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების სტაბილურობის უზრუნველყოფა

5.1 საქართველოს მთავრობის ინსტიტუციონალური რეფორმა:

5.1.1 საქართველოს მთავრობის ოპტიმალური ინსტიტუციონალური მოდელის შემუშავება და მისი სტაბილურობისათვის კონსტიტუციური გარანტიების შექმნა;

5.1.2 საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელება, კერძოდ, საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის მიღება, სახელმწიფო სტრუქტურათა და თანამდებობის პირთა შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნა, საჯარო მოხელეთა სამსახურში მიღებისა და დაწინაურების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემის შემოღება, საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოებისა და სახელფასო ანაზღაურების ერთიანი სისტემის შემუშავება და სხვ.;

5.1.3 მთავრობის შიგნით კოორდინაციის გაზრდა, საქმიანობების დუბლირების შესაძლებლობის მინიმუმამდე შემცირება;

5.1.4 საჯარო მოხელეთა ფინანსური დეკლარაციების შემოწმებისა და დარღვევებზე რეაგირების ეფექტური სისტემის შექმნა; აგრეთვე გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით მათი შესაბამისი უწყების ინტერნეტ გვერდზე განთავსება;

5.1.5 სტატისტიკისა და ინდიკატორების სისტემების გამართვა:

- სტატისტიკური ინფორმაციის მიღება-დამუშავების მეთოდოლოგიის დახვეწა;
- სტატისტიკური ინდიკატორების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია.

5.2 სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციის პრევენცია და შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერება:

5.2.1 სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯვის სისტემის ბიუჯეტის ფარგლებში

სრულად მოქცევა; სპეციალური, ბიუჯეტის გარეთ ფონდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის აკრძალვა;

5.2.2 სახელმწიფო დაწესებულებებში შიდა და გარე აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა:

- კონტროლის პროცედურების ხარისხის ამაღლება, INTOSAI-ის (International Organization of Supreme Audit Institutions) გამოცდილების გათვალისწინებით სახელმწიფო სექტორის აუდიტის სტანდარტების შემუშავება;
- სახელმწიფო ფინანსური რესურსების მართვის გაუმჯობესება, პროგრამული და გრძელვადიანი ბიუჯეტირების პროცესის დანერგვა;

5.2.3 საქართველოს სამართალდამცავი სისტემის დასავლეთ ევროპული სტანდარტების შესაბამისი რეფორმა, პოლიციაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაზრდა;

5.2.4 პროკურორების აპოლიტიკურობის უზრუნველყოფა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესება;

5.2.5 სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის გენერალური ინსპექციების ნაცვლად ერთიანი დამოუკიდებელი მაკონტროლებლის შექმნა და მისი მუშაობის ეფექტურობის ამაღლება;

5.2.6 საჯარო მოხელეთა პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფა;

5.2.7 "მამხილებელთა" დაცვის სისტემის შექმნა;

5.2.8 კონტროლის პალატის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება.

5.3 პოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველყოფა:

5.3.1 პარლამენტის როლის გაძლიერება და ქვეყანაში პოლიტიკური დიალოგისა და კონკურენციისათვის სათანადო პირობების შექმნა როგორც საკანონმდებლო ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით;

5.3.2 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილების გაუქმება და პრეზიდენტისათვის დამოუკიდებელი არბიტრის კონსტიტუციური ფუნქციის დაბრუნება (ეს უკანაკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია პრემიერ მინისტრის პოსტის შემოღების შემდეგ);

5.3.3 ყველა დონის არჩევნებზე პოლიტიკური პარტიებისათვის პრიორიტეტული როლის საკანონმდებლო წესით დამკვიდრება;

5.3.4 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა პასუხიმგებლობის ხარისხის გაზრდა, მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება-განხორციელება;

5.3.5 საარჩევნო კამპანიების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

5.3.6 საარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვა;

5.3.7 ამომრჩეველთა სიების გამჭვირვალობისა და სიზუსტის უზრუნველყოფა;

5.3.8 არჩევნების ჩატარებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო თანხების დროული და სათანადო რაოდენობით გამოყოფა;

5.4 სახელმწიფო მართვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა:

5.4.1 ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების პრიორიტეტიზაცია და ეროვნული კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა; საიდუმლოებისა და დახურული ინფორმაციის არსებობის შესაძლებლობის კონსტიტუციით დადგენილი პირობების ფარგლებში შეზღუდვა;

5.4.2 ელექტრონული მმართველობის სისტემის დანერგვა (ელექტრონული საჯარო და სამოქალაქო რეესტრების შექმნა, ელექტრონული ინფორმაციისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა და ინტერნეტში განთავსება, სამინისტროების ვებგვერდზე სავალდებულოდ განსათავსებელი ინფორმაციის განსაზღვრა, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ

კვარტალური ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება და სხვ.);

5.4.3 გადაწყვეტილებათა მიღებისა და ადამიანთა უსაფრთხოებისათვის საჭირო აუცილებელი ინფორმაციის ჩამონათვალის შემუშავება, მისი მოგროვების, დამუშავებისა და ხელმისაწვდომად განთავსების სისტემის შექმნა;

5.4.4 მომპოვებელი ინდუსტრიის გამჭვირვალობის ინიციატივასთან მიერთება და ამ ინიციატივით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

5.4.5 სახელმწიფოს მიერ მიღებული გრანტების, სესხებისა და კრედიტების განკარგვის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

5.4.6 სახელმწიფო შესყიდვებისა და პრივატიზაციის პროცესების მარეგულირებელი წესების დახვეწა და გამჭვირვალობის გაზრდა (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დამოუკიდებლობა, მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა, ელექტრონული შესყიდვების სისტემის დამკვიდრება და სხვ.) და ამ წესების დამღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრება;

5.5 ანტიკორუფციული კამპანიის გამჭვირვალობა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

5.5.1 გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა;

5.5.2 დამოუკიდებელი საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, განსაკუთრებით იმ სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც კორუფციის რისკი განსაკუთრებით მაღალია; სათემო ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის ხელშეწყობა;

5.5.3 ქვეყანაში კორუფციის არსებობის დონეების განსაზღვრა (კორუფციის შეფასების ერთიანი ინდიკატორების განსაზღვრა; თითოეულ სექტორში ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმების შემუშავება);

5.5.4 კორუფციული გამოვლენებისა და ანტიკორუფციული საქმეების (სასამართლო პროცესები, დაპატიმრებები, გამოძიებები და ა.შ.) სტატისტიკის წარმოება და საჯაროობა;

5.5.5 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მიღწეული შედეგებისა და არსებული პრობლემების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება;

5.5.6 ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში "ცხელი ხაზის" მექანიზმის დამკვიდრება და ეფექტური გამოყენება;

IV კონფლიქტების დარეგულირება

6. კონფლიქტების დარეგულირების პროცესის ხელშეწყობა და გაყინული კონფლიქტის ტრანსფორმაცია კონსტრუქციული დიალოგის ფაზაში

6.1 მშვიდობის ხელშემწყობი ფაქტორების გაძლიერების, სამშვიდობო დიალოგის განვითარებისა და მხარეებს შორის ნდობის გაღრმავების მიზნით საქართველოში არსებული კონფლიქტების (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის) დარეგულირების სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის წინაშე არსებული საფრთხეებისა და რისკების გასანეიტრალებლად კონკრეტული მექანიზმები უნდა იყოს განსაზღვრული;

6.2 კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო განათლება დემოკრატიული ფასეულობების გაცნობის და ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების მიზნით;

6.3 კონფლიქტურ ზონებში ადამიანის უფლებათა დამცავი ინსტიტუტების

განვითარება და გაძლიერება;

6.4 კონფლიქტურ რეგიონებში სიტყვის თავისუფლების, დამოუკიდებელი მედიის განვითარება;

6.5 კონფლიქტის მხარეების სამოქალაქო საზოგადოებების შემდგომი განვითარება და მათ შორის პირდაპირი ურთიერთობების / თანამშრომლობის წახალისება; კონფლიქტში უშუალოდ მონაწილე მხარეების წარმომადგენელი სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფის (ქალთა უფლებების დამცველი, ახალგაზრდული, სათემო და სხვა ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციების) პირისპირ დიალოგში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

6.6 კონფლიქტის ზონებში ეკონომიკური პროექტების განხორციელება, რკინიგზის განახლება, ენერგეტიკული თანამშრომლობა და ორმხრივი ბიზნეს პროექტების დაფინანსება;

6.7 კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების სოციალური დაცვის პროგრამების შექმნა და მათ განხორციელებაში კონფლიქტის მონაწილე მხარეების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

6.8 კონფლიქტის მონაწილე მხარეების წარმომადგენელი ახალგაზრდობის მხარდაჭერა ევროკავშირის გაცვლით სასწავლო პროგრამებში, ტრეინინგებსა და სწავლების სხვა ფორმებში მონაწილეობისათვის. კონფლიქტურ რეგიონებში უცხო ენების სწავლების, ინტერნეტისა და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

6.9 ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა;

6.10 კონფლიქტის დეკრიმინალიზაცია – ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ბრუნვის, ტრეფიკინგის, ადამიანის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის მიღება და განხორციელება. კონფლიქტის მხარეების მონაწილეობით ერთობლივი საპოლიციო ძალების შექმნა, უკანონო ტვირთების გადაზიდვების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობა;

6.11 რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგის გააქტიურების ხელშეწყობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე:

- 6.11.1. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთთან საზღვრის მონაკვეთების დაცვის გაუმჯობესება;
- 6.11.2. 1999 წ. ეუთოს სტამბულის სამიტზე მიღებული ხელშეკრულების პირობების შესრულება - აფხაზეთის ტერიტორაზე რუსეთის სამხედრო ბაზის გაუქმება - და ამ პროცესზე საერთაშორისო სავერიფიკაციო მისიის დაშვების ხელშეწყობა.

V რეგიონალური თანამშრომლობა

7. სამხრეთ კავკასიაში რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაძლიერება

7.1 სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკური სფეროებში თანამშრომლობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება;

7.2 ევროპის თანამეგობრობასთან და რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით ეფექტური საზღვრის მართვის სისტემის შექმნა:

- 7.2.1. საქართველოსთვის ინტეგრირებული საზღვრის მართვის (Integrated Border Management) სტრატეგიის შექმნა;
- 7.2.2. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის განხორციელება (საბაჟო, სასაზღვრო ფიტოსანიტარული და ვეტერინალური სამსახურების უნარების გაძლიერება და მათ შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა);
- 7.2.3. საქართველოს მოსაზღვრე პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა;

7.3 ტერორიზმის საფრთხის, აკრძალული ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების იარაღის, მსუბუქი იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვების, უკანონო მიგრაციის შეზღუდვის მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება რეგიონული თანამშრომლობის გათვალისწინებით;

7.4 საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონულ ქვეყნებში უკანონო იარაღის რეზერვების მოძიების, ამოღების, ნებაყოფლობით ჩაბარების პროგრამების შესახებ სამოქმედო გეგმის მიღება და განხორციელება;

7.5 რეგიონულ ქვეყნებთან თანამშრომლობით ნავთობისა და გაზსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

7.6 რეგიონულ ქვეყნებთან და ევროკავშირთან თანამშრომლობით უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის საფუძვლების მომზადება და კონფლიქტების პრევენცია;

7.7 რეგიონული ეკონომიკური პროექტების ხელშეწყობა: საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა TRACECA და INOGATE–ის პროგრამების ფარგლებში და საერთო ევროპულ ინფრასტრუქტურულ მაგისტრალებში მათი ინტეგრირება; საქართველოს ტრანს-ევროპულ ქსელებში (TENs) ჩართვის შესაძლებლობის ეფექტურად გამოყენება;

7.8 სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მედიას შორის თანამშრომლობის განვითარება;

7.9 სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ჩართვა ერთობლივ პროექტებში შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებთან ერთად შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: ეკონომიკა და ბიზნესი, ეკოლოგია და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორცილება, ასევე საზღვრის დაცვისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხები.

VI. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

8. საგადასახადო და საბაჟო რეფორმა

8.1 საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სტაბილურობა; შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლისათვის მინიმალური ვადების საკანონმდებლო წესით დადგენა;

8.2 საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ნორმების დახვეწა ალტერნატიული განმარტებების შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით;

8.3 საბაჟო პროცედურების გამარტივება, ერთი სარკმლის პრინციპის დანერგვა;

8.4 შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის უზრუნველყოფა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის;

8.5 არბიტრაჟის ინსტიტუტის ამოქმედება;

8.6 საბაჟო და საგადასახადო სამსახურების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (სასწავლო ცენტრ(ებ)ის მოწყობა, თეორიული და პრაქტიკული სწავლებები, სერტიფიცირება და ა.შ.);

8.7 საბაჟო პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აქტიური უზრუნველყოფა (საინფორმაციო უწყისები, ელექტრონული შეტყობინებები და ა.შ.);

8.8 საბაჟო და საგადასახადო სამსახურების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა; საბაჟო სამსახურების თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვა და შესაბამისი სპეციალისტებით უზრუნველყოფა.

9. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება

9.1 საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და გატარება პირდაპირი ფინანსური ინვესტიციების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით;

9.2 ინვესტიციათა დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დახვეწის გზით;

9.3 ინვესტიციების ინსტიტუციონალური ხელშეწყობა "ინვესტიციების ხელშეწყობის ეროვნული სააგენტოს" ჩამოყალიბების გზით;

9.4 ინვესტიციების მოზიდვის, განხორციელებისა და გარემოზე მათი ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

10. ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის განვითარების ხელშეწყობა

10.1 ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და განხორციელება;

10.2 პრივატიზაციის პროცესში საბირჟო აუქციონის უპირატესი გამოყენების უზრუნველყოფა;

10.3 ფასიანი ქაღალდების ერთიანი კანონმდებლობის ფარგლებში სახელმწიფო, მათ შორის, მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების განვითარება;

10.4 ინვესტორების მოსაზიდად ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის დანერგვა.

11. კონკურენციის პოლიტიკის განვითარება

11.1 კონკურენციის პოლიტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება და გატარება;

11.2 ევროკავშირის კანონმდებლობასთან ანტიმონოპოლიური სამართლისა და კონტროლის რეჟიმის სათანადოობის უზრუნველყოფა;

11.3 სახელმწიფო დახმარების სამართლებრივი ბაზის შემუშავება და პოლიტიკის გატარება;

11.4 ანტიმონოპოლიური რეგულირების ეფექტური სისტემის შექმნა;

11.5 სახელმწიფო დახმარების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მათ შორის, დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს დაარსებით.

12. სასაქონლო სტანდარტების განვითარება და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

12.1 საქართველოს სასაქონლო სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია;

12.2 შესაბამისი ადმინისტრირებითა და ლაბორატორიების ჩამოყალიბებით (მათ შორის რეგიონებშიც) სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა.

12.3 ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის საწინააღმდეგო სანქციების განხორციელების ეფექტურობის უზრუნველყოფა;

12.4 ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მქონეთა ასოციაციების დაარსების ხელშეწყობა.

13. აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობა

13.1 სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

13.2 პროდუქციის ხარისხზე, აგრარული რესურსების გამოყენებაზე, ჯიშთა გამოცდასა და დაცვაზე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება;

13.3 ფიტოსანიტარული და ვეტერინალური სამსახურების აღდგენა, ტექნიკური უზრუნველყოფა და ფუნქციის გაძლიერება;

13.4 ეტაპობრივად შემუშავებული სქემის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების, სათავე ნაგებობების, მაგისტრალური და გამანაწილებელი არხების, სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია.

14. ბიზნესის ეთიკისა და კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა

14.1 ეთიკური და სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესის წახალისება;

14.2 ქართული ბიზნესის ქცევის კოდექსის დანერგვის ხელშეწყობა;

14.3 ბიზნესის ქველმოქმედების ეთიკური სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;

14.4 ბიზნესის კვლევა სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.

15. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება

15.1 მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეროვნული გეგმის შემუშავება და დანერგვა;

15.2 მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს მიერ სესხის საგარანტიო და შეღავათიანი კრედიტების ფონდების შექმნა;

15.3 სპეციალური პროგრამების შემუშავება დამწყები მეწარმეებისთვის, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში (გრძელვადიანი სესხებისა და კრედიტების ხაზი); აგრეთვე, ზოგიერთი სოციალური ჯგუფისთვის, კერძოდ, ქალებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის და მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის;

15.4 ეკონომიკის დარგობრივი განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტების მიხედვით ბიზნეს ინკუბატორების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა (მათ შორის, ვენჩურული და სიდ კაპიტალის მოზიდვის ღონისძიებების გატარება);

15.5 ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრების შექნა და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

16. საინოვაციო და ტექნოლოგიური პოლიტიკის განვითარება

16.1 ეროვნული ტექნოლოგიური და საინოვაციო პოლიტიკების შემუშავება და გატარება;

16.2 კვლევის შედეგების კომერციალიზაციის, მათ შორის, ბიზნესსა და მეცნიერებას შორის პარტნიორობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

16.3 ბიზნესში კვლევა-განვითარების, ინოვაციური საქმიანობების, ტექნოლოგიის ტრანსფერისა და დიფუზიის ფინანსური, ფისკალური და სხვა შესაბამისი ინსტრუმენტებით წახალისება, მათ შორის, საინოვაციო ფონდების, ბიზნესში სამეცნიერო-ტექნოლოგიური სპეციალისტების ჩართვის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მართვის საკითხებზე ტრენინგების გზით.

17. ენერგომომარაგების რეაბილიტაცია და დეცენტრალიზაცია

17.1 ქვეყნის ენერგეტიკული განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

17.2 საკუთარი ენერგომოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების უზრუნველყოფა ადგილობრივი, მათ შორის, ალტერნატიული ენერგორესურსების ათვისებით, აგრეთვე, დეცენტრალიზირებული გენერაციის, ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის, კოგენერაციისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის გზით.

VII: მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

18. საქართველოს მდგრადი განვითარების საფუძვლების შექმნა

18.1 მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის შექმნა:

18.1.1 ევროპის თანამეგობრობის პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიისა და გეგმის შემუშავება, რითაც განისაზღვრება ეკონომიკური განვითარების ბაზისი, არსებული რესურსები, საზოგადოების მოთხოვნილებები და საჭიროებები, სიღარიბის დაძლევის მექანიზმები;

18.1.2 საქართველოში სივრცითი დაგეგმარების თანამედროვე სისტემის დანერგვა ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე;

18.1.3 სექტორული განვითარების გრძელვადიან დაგეგმვასა და სხვადასხვა სტრატეგიულ გეგმას შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ჰორიზონტალური დაგეგმარების ინტეგრირებული მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა.

VIII სოციალური განვითარების ხელშეწყობა

19. რეგიონების განვითარება

19.1 რეგიონალური განვითარების სტრატეგიის მომზადება მდგრადი განვითარების სტრატეგიაზე დაყრდნობით;

19.2 რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება (გზებისა და სტრატეგიული ობიექტების შენება-გარემონტება, ოპტიკო-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანა, სატელეკომუნიკაციური სისტემის რეორგანიზაცია);

19.3 რეგიონების მოსახლეობის აქტიური ჩართვით რეგიონების განვითარების სამოქმედო გეგმების შემუშავება რეგიონების მოსახლეობის აქტიური ჩართვით;

19.4 სტრატეგიაზე დაყრდნობით განვითარების სპეციალური პროგრამების შემუშავება რეგიონებისათვის (მათ შორის, დეპრესიული და ეკოლოგიურად განადგურებული რეგიონებისათვის) და მათი გათვალისწინება ქვეყნის ბიუჯეტში.

20. საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის განვითარება

20.1 შრომის კანონმდებლობის სრულმასშტაბიანი რეფორმა;

20.2 შრომითი კანონმდებლობის, დაქირავების პოლიტიკის, სოციალური დაცვისა და სოციალური ინკლუზიის საკითხებზე საქართველოს პოლიტიკების ჰარმონიზაცია ევროპის თანამეგობრობის შესაბამის სფეროებთან;

20.3 კერძო საპენსიო და ჯანდაცვის ფონდების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

20.4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისა და მათთვის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

21. საქართველოს მოსახლეობის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

21.1 ბავშვების, ქალებისა და მოხუცებისთვის ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

21.2 ევროპის თანამეგობრობასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით შიდსის, ჰეპატიტი C და B-ის, მალარიისა და სხვა საშიში გადამდები დაავადებების გავრცელებისა და მისი საფრთხის შემცირება;

21.3 სახელმწიფო და კერძო საავადმყოფოებში თანამედროვე სტანდარტების დანერგვისა და მონიტორინგის გზით დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირების ღონისძიებების გატარება;

21.4 ჰუმანურობის პრინციპზე დაყრდნობით ეროვნული ანტინარკოტიკული პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის, მათ შორის, ზიანის შემცირების პროგრამების შემუშავება და განხორციელება; განკურნების სურვილის მქონე ნარკომანებისათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

21.5 ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების შესრულების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

21.6 ჯანდაცვის სფეროს მუშაკთა პროფესიონალიზმის გაზრდის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება.

22. ადამიანური რესურსების და განათლების პოლიტიკის განვითარება

22.1 "სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში" სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა;

22.2 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა;

22.3 პროფესიულ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოდულების განვითარების ხელშეწყობა;

22.4 საქართველოსა და ევროპის თანამეგობრობის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათ შორის, შესაბამისი პროგრამების (ტემპუსი; აგრეთვე, ერაზმუსი, მუნდუსი და სხვ.) ფარგლებში;

22.5 ევროპული გამოცდილების გაზიარების გზით ინტეგრირებული განათლების დანერგვა შეზღუდული შესაძლებლობის პირების ინტერესების საკითხების გათვალისწინებით;

22.6 განათლების სისტემის რეფორმირების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

23. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება

23.1 ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის სარგებლობის პრინციპით ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და გატარება;

23.2 სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტებისა და პოლიტიკის შესაბამისად სამეცნიერო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;

23.3 ევროპის თანამეგობრობასთან საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის განვითარებისა და ევროპის კვლევითი სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

23.4 ევროპის თანამეგობრობასთან და ევროპელ მეცნიერებთან თანამშრომლობით რეცენზირების სისტემის გაძლიერება;

23.5 ახალგაზრდა მეცნიერთა ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გაძლიერება, მათ შორის, რეინტეგრაციისათვის შესაბამისი ხელსაყრელი მექანიზმების შექმნით.

IX გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია

24. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა

24.1 გარემოს დაცვისა და გეგმარებისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება;

24.2 ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტური მონიტორინგის სისტემის შექმნა;

24.3 რეგიონებსა და ცენტრს შორის ბუნებრივი რესურსების მოხმარებით მიღებული შემოსავლების სამართლიანი გადანაწილების პრინციპებისა და პროცედურების დანერგვა;

24.4 ბუნებრივ რესურსებზე, განსაკუთრებით ტყეზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების განსაზღვრა;

24.5 ევროპის თანამეგობრობის სტანდარტების გათვალისწინებით გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზირების ეფექტური სისტემის განვითარება;

24.6 ეფექტურად განახორციელოს საწვავის კონტროლის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

24.7 საქართველოს კანონმდებლობაში „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის ინტეგრირება;

24.8 ევროკავშირის კანონმდებლობასთან გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის ჰარმონიზაცია;

24.9 სტრატეგიული და სექტორალური გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების პრაქტიკის დანერგვა;

24.10 ტყის რესურსების მართვა:

- 24.10.1 ეკოსისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული ტყის რესურსების მართვისა და სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა;
- 24.10.2 ხე-ტყით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, მათ შორის, ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტებით, როგორიცაა ევროპის თანამეგობრობის მიერ შემუშავებული FLEGT ინიციატივა;

24.10.3 სატყეო სექტორის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარება ტყის მდგრადი მართვისა და გამოყენებისათვის.

24.11 წყლის რესურსების მართვა:

24.11.1 ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის გათვალისწინებით წყლების დაბინძურების შემცირების ღონისძიებების განხორციელება;

24.11.2 ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის წყლის ინიციატივაში აქტიური მონაწილეობა;

24.11.3 მტკნარი წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ერთიანი სტრატეგიის მომზადება და სასმელი წყლის მარაგის განსაზღვრა;

24.11.4 მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვა, მათ შორის, მტკვარი-არაქსის აუზის ტრანს-სასაზღვრო პროგრამის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა.

24.12 ნარჩენების მართვა:

24.12.1 ნარჩენების, მათ შორის, რადიოაქტიური და ქიმიური ნარჩენების, მართვის სამართლებრივი ბაზისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

24.12.2 პრივატიზაციის პროცესში როგორც „მემკვიდრეობითი“, ისე შესაძლო ახალი ნარჩენების პრობლემის იდენტიფიცირებისა და ინვესტორის საპრივატიზაციო დოკუმენტაციაში გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის ჩართვის პირობების შესახებ მოთხოვნების განსაზღვრა.

25. ბიომრავალფეროვნების დაცვა

25.1 ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და საერთაშორისო და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გზით დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოყალიბება;

25.2 აგრობიომრავალფეროვნების ინვენტარიზაცია და წითელი ნუსხის შედგენა;

25.3 აგრობიომრავალფეროვნების აღდგენის, დაცვისა და შესწავლის სისტემის ჩამოყალიბება;

25.4 ცხოველთა სამყაროს რესურსების დაცვისა და ბრაკონიერობასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდების შემუშავება და დანერგვა;

25.5 გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით გამოწვეული შესაძლო საფრთხისაგან საქართველოს მოსახლეობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნითა და შესაბამისი, ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებით.

26. ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია და შედეგების ზემოქმედების შემსუბუქება

26.1 ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირების, შეფასების, თავიდან აცილების, სწრაფი რეაგირებისა და ადრეული შეტყობინების ეროვნული სამსახურის ჩამოყალიბება;

26.2 ბუნებრივი კატასტროფების მართვის სტრატეგიის, სამართლებრივი ბაზისა და გეგმის, მათ შორის, ბუნებრივი რესურსების დეგრადაციის საწინააღმდეგო პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

დანართი 1 - წინამდებარე დოკუმენტი წარდგენილია შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ:

No	ორგანიზაცია	სახელი, გვარი	ელფოსტის მისამართი
1.	აისი	ხათუნა ყვირილაშვილი	a.i.s.i@rambler.ru
2.	ალტერნატივა ჯორჯია	დათო ოთიაშვილი	datohupo@yahoo.com altgeorgia@dsl.ge
3.	ასოციაცია domus mobiles	ქეთევან დადუნაშვილი	kdadunashvili@yahoo.com
4.	ასოციაცია ლობო	ლაშა ჩხარტიშვილი	Lasha_veg@yahoo.com
5.	ასოციაცია მწვანე ალტერნატივა	ნინო გუჯარაიძე ირაკლი მაჭარაშვილი	ngujaraidze@wanex.net greenalt@wanex.net
6.	ასოციაცია ქალი და ბიზნესი	ნინო ელიზბარაშვილი	wbus@caucasus.net
7.	ასოციაცია სამართალი და თავისუფლება	ირაკლი სესიაშვილი	jusliberty@hotmail.com
8.	ახალგაზრდა დიპლომატთა საერთაშორისო ასოციაცია	გიორგი ბახტურიძე	iayd@yahoo.com
9.	ახალგაზრდა ლიდერთა ფონდი	ირაკლი ქობალია	iraklikobalia@yahoo.com
10.	ბიზნეს ინკუბატორის ინიციატივა - საქართველო	ვაჟა გოგინაშვილი	csscge@yahoo.com
11.	ბუნების დაცვის საერთაშორისო ფონდის კავკასიის ოფისი	ლანა ღვინჯილია	lghvinjilia@wwfcaucasus.ge
12.	განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი	პაატა ზაქარეიშვილი	paatazak@access.sanet.ge
13.	გარემოს დაცვის ლიგა	მაია კაპანაძე	envliga@gol.ge
14.	გაზეთი აბხაზსკი მერიდიანი	დევი ფუტკარაძე	deviputkaradze@yahoo.com
15.	გაზეთი 24 საათი	ლელა მარგიანი	lmargiani@24hours.ge
16.	გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ფირმა "მმმ"	მერაბ მაჭავარიანი	biodiv@caucasus.net
17.	გენდერი სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაში	ჩარიტა ჯაში	charita@access.sanet.ge
18.	გრიდ-თბილისი	მზია გვილავა	m.gvilava@gridtb.org
19.	ენერგოეფექტურობის ცენტრი	გიორგი აბულაშვილი	g_abul@eecgeo.org
20.	ეროვნული უსაფრთხოებისა და განვითარების კვლევის ცენტრი	ბაკურ კვაშილავა ლევან ცუცქირიძე	bakur.kvashilava@aya.yale.edu levan@jhu.edu
21.	ევრაზიის ფონდი	რობერტ ო'დონოვანი ანი ჯობავა	rodonovan@eurazia.org.ge ani@eurasia.org.ge

		ვერონიკა ჭკადუა	veronica.chkadua@eurasia.org.ge
22.	ველური ბუნების კონსერვაციის ქართული ცენტრი	რამაზ გოხელაშვილი	ramaz@gccw.org
23.	თავისუფლების ინსტიტუტი	გიორგი მელაძე	giomeladze@liberty.ge
24.	იბერია და პერსპექტივა	ივერი ონოფრიშვილი	
25.	ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშთა დედათა ასოციაცია	მადონა ხარებავა	madonna_k@gol.ge
26.	იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"	იულია ხარაშვილი ლიანა ბერია	julia.kharashvili@unv.org.ge idpwa@gol.ge
27.	კავკასიის გარემოსდაცვით ორგანიზაციათა ქსელი	ნინო თევზაძე ირინა ქიტიაშვილი	nino.tevzadze@cenn.org
28.	კავკასიოლოგიის უნივერსიტეტი	გიორგი ანჩაბაძე	gancha@hotmail.ru
29.	კავკასიური დიალოგი	მარინე ფაღავა გურამ ოდიშარია გიორგი ანჩაბაძე	liga-caucasus@access.sanet.ge guramw@hotmail.com gancha@hotmail.ru
30.	კავკასიური კვლევების რესურს ცენტრი - საქართველო	ლევან თარხნიშვილი	levan@crrc.ge
31.	კავკასიური სახლი	ანა წვინარია	anikots@yahoo.com
32.	კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი “სოხუმი”	ალა გამახარია	alla.sokhumi@sanetk.net.ge
33.	მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრი	ბონდო ზარნაძე აზიკო სისვაძე თამაზ ვაშაკიძე უშანგი სამადაშვილი	Geu.1991@mail.ru
34.	მცირე მეწარმეთა კლუბი	ლევან ცერცვაძე	tamazsmb@mail.ru
35.	მრავალეროვანი საქართველო	სოფო გომელაური ხათუნა ლაგაზიძე	sofgomelauri@yahoo.com xato150@mail.ru
36.	მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი	თამრიკო პატარაია	tamar-pat@cipdd.org
37.	მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთობის კვლევის ცენტრი	ირაკლი მჭედლიშვილი	iram@gol.ge
38.	მეწარმე ქალთა ფონდი, იმერეთი	მერი გელაშვილი	womenfund37@mail.ru
39.	მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია, ქუთაისი	ალუ გამახარია თამილა გვილავა ნუგზარ ხარჩილავა	Alu.gamakharia@mail.ru

40.	მწვანე ტალღა	სოფო ოხანაშვილი მაკა ჯახუა ნინო ჯახუა	sopho@grn.ge maka@grn.ge nino@gsn.ge
41.	პოლიტოლოგ სტუდენტთა საერთაშორისო ასოციაცია – საქართველო	ზურაბ ზურაშვილი	iapssgeorgia@yahoo.com
42.	ჟურნალისტები და საზოგადოება	ნინო ჭელიძე	nchelidze@yandex.ru
43.	საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი	გიორგი გოგია	ggogia@crisisgroup.org
44.	სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი	ზაურ ხალილოვი	k_zaur@yahoo.com
45.	სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივა	დავით ფაცაცია თამარ კაჭარავა ლაშა ფიფია	patsatsia1@yahoo.com thamkach@list.ru alu.gamakharia@mail.ru
46.	სამხრეთ კავკასიის მშვიდობიანი განვითარება	ნუგზარ გოგორიშვილი	pdsc_ge@yahoo.com
47.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ანა დოლიძე ლალი ჩხეტია	adolidze@gyla.ge chkhetia@gyla.ge
48.	საქართველოს ეკოაკადემია	გვანცა შენგელია მარატ ციცქიშვილი	g_shengelia@yahoo.com eco_marat@rambler.ru
49.	საქართველოს მწვანეთა მოძრაობა	გიორგი მაღრაძე ეკა ხუციშვილი შმაგი ჩოხელი	info@greens.ge
50.	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი	ლია თოდუა	liatodua@gol.ge
51.	SCIRS/HCA	საშა რუსეცკი	
52.	სოციალური რეფორმების საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრი	ქეთი დგებუაძე	ketdgeb@yahoo.com
53.	სტარატეგიულ კვლევათა ცენტრი	ნათელა სახოკია	natelas@src.ge
54.	სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების საქართველოს ფონდი	კახა გოგოლაშვილი	gogolashvili@gfsis.org
55.	სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრი	გიორგი ბენდელიანი	korsakov78@mail.ru
56.	YNSA	შალვა აბრამიშვილი გიორგი მაისურაძე	shako@areatravel.ge Gi_or-gi@hotmail.com
57.	სადისკუსიო ბიზნეს კლუბი	თამაზ ვაშაკიძე	tamazsmb@mail.ru
58.	სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	ლალი ბაქრაძე ვაჟა სალამაძე	lali@civilin.org vazha@civilin.org

		ია გაბუნია ლევან მოსახლიშვილი	ia@civilin.org levani@civilin.org
59.	საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ცენტრი	გოჩა სირბილაძე	ysd-center@caucasus.net
60.	საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაცია	ანზორ საკანდელიძე	tamazsmb@mail.ru
61.	ტრეინინგისა და კონსულტაციის ცენტრი	პაატა გურგენიძე	paata@ctc.org.ge
62.	ტფილისის ჰამქარი	ბაკურ ლაშქარავა ალექსანდრე ელისაშვილი	bakur@rustaveli.com.ge elisashvili@yahoo.com
63.	ტრანსპორტის საკონსულტაციო სასწავლო ცენტრი	თენგიზ გოგელია	gogelia@trrc.ge
64.	TV იმედი	ირაკლი შარაბიძე	isharabidze@imedi.ge
65.	CEE Bankwatch Network	მანანა ქოჩლაძე	manana@wanex.net
66.	ცენტრი ქალები და განვითარება	შორენა ძოწენიძე	sh-dzotsenidze@yahoo.com
67.	ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო	მიხეილ მირზიაშვილი	mikheil@osgf.ge
68.	ფონდი "კავკასიური დიალოგი"; ადამიანური რესურსების განვითარებიც ცენტრი	ნოდარ სარჯველაძე დეა ჩხაიძე	nodarsar@yahoo.com fdhrdea@yahoo.com
69.	ფრიდრიხ ებერტის ფონდი	ია თიკანაძე	ia@fesgeo.ge stiftung@fesgeo.org.ge
70.	ქალთა პოლიტიკის რესურს-ცენტრი	ლიკა ნადარაია	femclub@yahoo.com
71.	ქართლის დემოკრატიული ინსტიტუტი; თვითმმართველობის გორის კოალიცია	მალხაზ მინდიაშვილი	idprcg@gol.ge
72.	ქართველ რეპატრიანტთა კავშირი	მარატ ბარათაშვილი	marat@geo.net.ge
73.	ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება	წოვინარ ნაზაროვა	tsovinar@ip.osgf.ge
74.	ასოციაცია საქართველოს საბანკო-საფინანსო აკადემია	ნინო ჟღამაძე	bfa@gol.ge
75.	სახალხო უნივერსიტეტის გერმანული ასოციაციის წარმომადგენლობა საქართველოში (IIZ/DVV)	ლევან კვაჭაძე	kvatchadze@iiz-dvv.ge
76.	ჰაინრიხ ბიოლის ფონდი	ნინო ლეჟავა	lejava@boell.ge